# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 56

„19“ თებერვალი 2016 წ

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვისა და ე.წ. ივერთუბნის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩებისათვის, მასთან არსებული შესახვევებისთვის, გასასვლელებისთვის და ჩიხებისთვის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 29 მაისის № 112 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქ. თბილისში, ჩუღურეთისა და ნაძალადევის რაიონებში, თბილისის ზღვისა და ე.წ. ივერთუბნის ტერიტორიასთან მდებარე ქუჩებისათვის, მასთან არსებული შესახვევებისთვის, გასასვლელებისთვის და ჩიხებისთვის სახელის მინიჭების შესახებ

ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ 2014 წლის 29 მაისის № 112 დადგენილების გამოცემის დროს დაშვებული იქნა ტექნიკური ხასიათის შეცდომა, დადგენილებაში ქუჩების მდებარეობად მითითებული იქნა ნაძალადევის რაიონი, მოგვიანებით კომისიისათვის ცნობილი გახდა, რომ დადგენილებაში მითითებული ზოგიერთი ქუჩა მდებარეობდა ჩუღურეთის რაიონში. ქალაქ თბილისის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს 2014 წლის 29 მაისის №112 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება და გამოცემულ იქნას ქ. თბილისში, ჩუღურეთისა და ნაძალადევის რაიონებში, თბილისის ზღვისა და ე.წ. ივერთუბნის ტერიტორიასთან მდებარე ქუჩებისათვის, მასთან არსებული შესახვევებისთვის, გასასვლელებისთვის და ჩიხებისთვის სახელის მინიჭების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ

საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის და ნაძალადევის რაიონებში, თბილისის ზღვისა და ე.წ. ივერთუბნის ტერიტორიასთან მდებარე ქუჩებს, მასთან არსებულ შესახვევებს, გასასვლელებს და ჩიხებს თანდართული რუკების თანახმად მიენიჭოს შემდეგი სახელები:

- გენო ადამია;
- ჯუმბერ ბეთაშვილი;
- გურამ გაბისკირია;
- ვანო ხორნაული;
- რაულ ეშბა;
- ალექსანდრე ყანჩელი;
- ალავერდი;
- ლიპტოვი;
- ბეშენოვა;
- ივერთუბანი
- სოლომონ ყუბანეიშვილი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვისა და ე.წ. ივერთუბნის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩებისათვის, მასთან არსებული შესახვევებისთვის, გასასვლელებისთვის და ჩიხებისთვის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ. თბილისის 2014 წლის 29 მაისის № 112 დადგენილება.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X_486881.6871
Y_ 4619862.8571
X_486555.2129
Y_ 4619803.9891
X_486643.0771
Y_ 4619803.7023
გენო ადამიას ქუჩა
გენო ადამიას ქუჩა
X_486643.3615
Y_ 4619757.6298
X_486708.2043
Y_ 4619757.061
X_486728.9653
Y_ 4619732.6028


X_486657.0282
Y_ 4620441.0421
ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩა
X_486655.192
Y_ 4620211.2557
I ჩიხი
X_486777.1141
Y_ 4620329.294
X_486341.867
Y_ 4619905.8071
ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩა


X_486541.2422
Y_ 4619479.1534
გურამ გაბისკირიას ქუჩა
X_486329.0682
Y_ 4619326.9919


X_486667.8398
Y_ 4619316.9675
ვანო ხორნაულის ქუჩა
X_486462.2638
Y_ 4619160.8024


X_486642.1525
Y_ 4619383.065
რაულ ჯიბას ქუჩა
X_486418.5547
Y_ 4619215.3387


X_486310.0106
Y_ 4619019.3988
X_485901.7068
Y_ 4618953.5318
I შესახვევი
X_486019.4993
Y_ 4618863.0964
ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა
X_485719.3074
Y_ 4618475.8873


X_486372.8316
Y_ 4619272.3879
ალავერდის ქუჩა
X_486594.5517
Y_ 4619430.9846



X_486289.9032
Y_ 4621077.7743
ლიპტოვის ქუჩა
X_486706.7759
Y_ 4620527.5811


X_485996.5592
Y_ 4621299.1251
ბეშენოვას ქუჩა
X_485311.5038
Y_ 4621503.2243


X_486483.9895
Y_ 4619611.0079
X_486330.4151
Y_ 4619470.0921
I ჩიხი
X_486301.0521
Y_ 4619361.9479
X_486374.9069
Y_ 4619411.229
ივერთუბნის ქუჩა
X_486549.5274
Y_ 4619535.8455


X_486555.4434
Y_ 4619909.7841
სოლომონ ყუბანეიშვილის ქუჩა
X_486603.7472
Y_ 4619853.9637
I ჩიხი
X_486642.5442
Y_ 4619853.6593
II ჩიხი
X_486683.3787
Y_ 4619834.6246
X_486643.0771
Y_ 4619803.7023